საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო
KA011790766831322
მისამართი: თბილისი 0114 ვახტანგ გორგასლის N22; www.napr.gov.ge;
ცხელი ხაზი: 2 405 405

 # 200740 **25 / ნოემბერი / 2022 წ.**

გადაწყვეტილება

ზესტაფონის მუნიციპალიტეტის ზოვრეთის ადმინისტრაციულ ერთეულში, თერჯოლის მუნიციპალიტეტის ჩხარის ადმინისტრაციულ ერთეულში, ტყიბულის მუნიციპალიტეტის ქალაქ ტყიბულში, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ წყალტუბოში, ხონის მუნიციპალიტეტის ივანდიდის ადმინისტრაციულ ერთეულში, მარტვილის მუნიციპალიტეტის ლეხაინდრაოსა და ნაგვაზაოს ადმინისტრაციულ ერთეულებში, სენაკის მუნიციპალიტეტის ძველი სენაკის ადმინისტრაციულ ერთეულში, აბაშას მუნიციპალიტეტის ნორიოს ადმინისტრაციულ ერთეულში, ხობის მუნიციპალიტეტის ნოჯიხევის ადმინისტრაციულ ერთეულში, ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის სათხასა და ჯიგრაშენის ადმინისტრაციულ ერთეულებში მდებარე რიგ სარეგისტრაციო ბლოკებში არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკადასტრო აგეგმვითი/აზომვითი სამუშაოებისა და სარეგისტრაციო დოკუმენტაციის მომზადების საფუძველზე შედგენილი მესაკუთრეთა/საკუთრების უფლების რეგისტრაციის მოთხოვნის უფლების მქონე პირთა და მოსარგებლეთა მონაცემების მქონე საკადასტრო რუკის საჯარო გაცნობისათვის გამოქვეყნების შესახებ

სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში“ (შემდგომში - „საჯარო რეესტრი“) 2022 წლის 25 ნოემბერს წარმოდგენილია საჯარო რეესტრის ქონების რეგისტრაციის დეპარტამენტის მიწის სისტემური რეგისტრაციის სამსახურის კოორდინატორის № 312260/17 სამსახურებრივი ბარათი. სამსახურებრივი ბარათით მოთხოვნილია სისტემური რეგისტრაციის გეოგრაფიულ არეალებში:

ზესტაფონის მუნიციპალიტეტის (სარეგისტრაციო ზონა 32) ზოვრეთის (სარეგისტრაციო სექტორი 04) ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე 31015, 31019, 32032, 36020, 38029, 38030, 38032, 39015 სარეგისტრაციო ბლოკებში;

თერჯოლის მუნიციპალიტეტის (სარეგისტრაციო ზონა 33) ჩხარის (სარეგისტრაციო სექტორი 15) ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე 31028, 31031, 32029, 34028, 35027, 35041, 37030 სარეგისტრაციო ბლოკებში;

ტყიბულის მუნიციპალიტეტის (სარეგისტრაციო ზონა 39) ქალაქ ტყიბულში (სარეგისტრაციო სექტორი 01) მდებარე 26021 სარეგისტრაციო ბლოკში;

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის (სარეგისტრაციო ზონა 29) სოფელ წყალტუბოში (სარეგისტრაციო სექტორი 05) მდებარე 31023, 31024, 31026, 31027, 32047, 32049, 32050, 32052, 33031, 34044, 34047, 35040, 35041, 35042, 35043, 35044, 35045, 35047, 35050, 36022, 36023, 37034, 38036, 38037, 38038, 38039, 38040, 38041, 38042, 38043, 39003, 40027, 40028, 40029, 40030, 41058, 41060, 41061, 41063, 41064, 41066, 41069, 41070, 42024, 42025, 42026 სარეგისტრაციო ბლოკებში;

ხონის მუნიციპალიტეტის (სარეგისტრაციო ზონა 37) ივანდიდის (სარეგისტრაციო სექტორი 08) ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე 35051, 35053, 35057, 35058, 35061 სარეგისტრაციო ბლოკებში;

მარტვილის მუნიციპალიტეტის (სარეგისტრაციო ზონა 41) ლეხაინდრაოსა (სარეგისტრაციო სექტორი 06) და ნაგვაზაოს (სარეგისტრაციო სექტორი 07) ადმინისტრაციულ ერთეულებში მდებარე 410631077, 410631080, 410632065, 410634041, 410634043, 410634044, 410634047, 410634050, 410731045, 410731046, 410732063, 410732064, 410732066, 410735066 სარეგისტრაციო ბლოკებში;

სენაკის მუნიციპალიტეტის (სარეგისტრაციო ზონა 44) ძველი სენაკის (სარეგისტრაციო სექტორი 04) ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე 21012, 23030, 24043, 25025, 25026, 25028, 27006, 28036, 29044, 29045, 29050, 30046, 30049, 30053, 30055 სარეგისტრაციო ბლოკებში;

აბაშას მუნიციპალიტეტის (სარეგისტრაციო ზონა 40) ნორიოს (სარეგისტრაციო სექტორი 07) ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე 32028, 32029, 32031, 33056, 33058, 33061, 33062, 33065, 33068, 35056, 35059, 35062, 36012, 36014, 36015, 37021, 37064, 37069, 37075, 37078, 37079, 37082, 37084 სარეგისტრაციო ბლოკებში;

ხობის მუნიციპალიტეტის (სარეგისტრაციო ზონა 45) ნოჯიხევის (სარეგისტრაციო სექტორი 07) ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე 21017, 21045, 21049, 21051, 21054, 22012, 22015, 23007, 23040, 23041, 23048, 25011, 25027, 26027, 26028 სარეგისტრაციო ბლოკებში;

ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის (სარეგისტრაციო ზონა 65) სათხასა (სარეგისტრაციო სექტორი 08) და ჯიგრაშენის (სარეგისტრაციო სექტორი 09) ადმინისტრაციულ ერთეულებში მდებარე 650833010, 650838034, 650842014, 650842016, 650843023, 650931028, 650933030, 650933032, 650933033, 650935032 სარეგისტრაციო ბლოკებში არსებული მიწის ნაკვეთების საკადასტრო აგეგმვითი/აზომვითი სამუშაოებისა და სარეგისტრაციო დოკუმენტაციის მომზადების საფუძველზე შედგენილი საკადასტრო რუკების საჯაროდ გაცნობისთვის გამოქვეყნება, მესაკუთრეთა/საკუთრების უფლების რეგისტრაციის მოთხოვნის უფლების მქონე პირთა, მოსარგებლეთა მონაცემების და აგეგმილი ნაკვეთის რეგისტრაციისთვის სავარაუდო ინფორმაციის/გარემოებების მითითებით.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-13 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციულ ორგანოს უფლება აქვს განიხილოს და გადაწყვიტოს საკითხი მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დაინტერესებულ მხარეს, რომლის უფლება ან კანონიერი ინტერესი იზღუდება ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით, მიეცა საკუთარი მოსაზრების წარდგენის შესაძლებლობა. გამონაკლისს ადგენს კანონი.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-13 მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, ამ მუხლის პირველ ნაწილში აღნიშნულ პირს უნდა ეცნობოს ადმინისტრაციული წარმოების შესახებ და უზრუნველყოფილ უნდა იქნეს მისი მონაწილეობა საქმეში. ამ კოდექსის 57-ე მუხლის თანახმად, საჯაროდ გამოცხადება ნიშნავს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ადმინისტრაციულ ორგანოში ყველასთვის ხელმისაწვდომ ადგილზე, ღიად განთავსებას. აუცილებლობის შემთხვევაში ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი საჯაროდ გამოცხადდება აგრეთვე სხვა საჯარო ადგილას.

„მიწის ნაკვეთებზე უფლებათა სისტემური და სპორადული რეგისტრაციის წესისა და საკადასტრო მონაცემების სრულყოფის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, სარეგისტრაციო ბლოკში საკადასტრო აგეგმვითი/აზომვითი სამუშაოებისა და სარეგისტრაციო დოკუმენტაციის მომზადების დასრულებისთანავე, საკადასტრო აღწერის შედეგად შედგენილი საკადასტრო რუკა მესაკუთრეთა/საკუთრების უფლების რეგისტრაციის მოთხოვნის უფლების მქონე პირთა და მოსარგებლეთა მონაცემების მითითებით, საჯარო გაცნობისათვის ქვეყნდება სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე (www.napr.gov.ge), განსაკუთრებული სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის პროექტის ფარგლებში - განსაკუთრებული სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის პროექტის განმახორციელებლის ოფიციალურ ვებგვერდზე, აგრეთვე მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და მუნიციპალიტეტში თვალსაჩინო ადგილზე, რაც შესაბამის დასახლებაში მცხოვრებ პირებს მისი გაცნობის საშუალებას მისცემს. ამავე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად კი, დაინტერესებულ პირებს უფლება აქვთ, ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული საკადასტრო რუკის გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში ერთჯერადად მიმართონ სააგენტოს ან განსაკუთრებული სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის პროექტის განმახორციელებელს მიწის ნაკვეთის საკადასტრო აღწერის კონკრეტული შედეგების გადამოწმების მოთხოვნით. ერთთვიანი ვადის გასვლის შემდეგ, უფლებები რეგისტრირდება საკადასტრო რუკაზე ასახული ინფორმაციის შესაბამისად, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მიმდინარეობს მიწის ნაკვეთის საკადასტრო აღწერის კონკრეტული შედეგების გადამოწმება.

საჯარო რეესტრმა, იხელმძღვანელა რა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-13 და 57-ე მუხლებით, „მიწის ნაკვეთებზე უფლებათა სისტემური და სპორადული რეგისტრაციის წესისა და საკადასტრო მონაცემების სრულყოფის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15 მუხლითა და „მიწის ნაკვეთებზე უფლებათა სისტემური და სპორადული რეგისტრაციის წესისა და საკადასტრო მონაცემების სრულყოფის შესახებ“ საქართველოს კანონის მიზნებისთვის განსაკუთრებული სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის პროექტისა და მისი განმახორციელებლის განსაზღვრის თაობაზე“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2021 წლის 31 დეკემბრის №798 ბრძანებით,

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

1. საჯაროდ გამოქვეყნდეს:

1.1. ზესტაფონის მუნიციპალიტეტის (სარეგისტრაციო ზონა 32) ზოვრეთის (სარეგისტრაციო სექტორი 04) ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე 31015, 31019, 32032, 36020, 38029, 38030, 38032, 39015 სარეგისტრაციო ბლოკებში;

1.2. თერჯოლის მუნიციპალიტეტის (სარეგისტრაციო ზონა 33) ჩხარის (სარეგისტრაციო სექტორი 15) ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე 31028, 31031, 32029, 34028, 35027, 35041, 37030 სარეგისტრაციო ბლოკებში;

1.3. ტყიბულის მუნიციპალიტეტის (სარეგისტრაციო ზონა 39) ქალაქ ტყიბულში (სარეგისტრაციო სექტორი 01) მდებარე 26021 სარეგისტრაციო ბლოკში;

1.4. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის (სარეგისტრაციო ზონა 29) სოფელ წყალტუბოში (სარეგისტრაციო სექტორი 05) მდებარე 31023, 31024, 31026, 31027, 32047, 32049, 32050, 32052, 33031, 34044, 34047, 35040, 35041, 35042, 35043, 35044, 35045, 35047, 35050, 36022, 36023, 37034, 38036, 38037, 38038, 38039, 38040, 38041, 38042, 38043, 39003, 40027, 40028, 40029, 40030, 41058, 41060, 41061, 41063, 41064, 41066, 41069, 41070, 42024, 42025, 42026 სარეგისტრაციო ბლოკებში;

1.5. ხონის მუნიციპალიტეტის (სარეგისტრაციო ზონა 37) ივანდიდის (სარეგისტრაციო სექტორი 08) ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე 35051, 35053, 35057, 35058, 35061 სარეგისტრაციო ბლოკებში;

1.6. მარტვილის მუნიციპალიტეტის (სარეგისტრაციო ზონა 41) ლეხაინდრაოსა (სარეგისტრაციო სექტორი 06) და ნაგვაზაოს (სარეგისტრაციო სექტორი 07) ადმინისტრაციულ ერთეულებში მდებარე 410631077, 410631080, 410632065, 410634041, 410634043, 410634044, 410634047, 410634050, 410731045, 410731046, 410732063, 410732064, 410732066, 410735066 სარეგისტრაციო ბლოკებში;

1.7. სენაკის მუნიციპალიტეტის (სარეგისტრაციო ზონა 44) ძველი სენაკის (სარეგისტრაციო სექტორი 04) ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე 21012, 23030, 24043, 25025, 25026, 25028, 27006, 28036, 29044, 29045, 29050, 30046, 30049, 30053, 30055 სარეგისტრაციო ბლოკებში;

1.8. აბაშას მუნიციპალიტეტის (სარეგისტრაციო ზონა 40) ნორიოს (სარეგისტრაციო სექტორი 07) ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე 32028, 32029, 32031, 33056, 33058, 33061, 33062, 33065, 33068, 35056, 35059, 35062, 36012, 36014, 36015, 37021, 37064, 37069, 37075, 37078, 37079, 37082, 37084 სარეგისტრაციო ბლოკებში;

1.9. ხობის მუნიციპალიტეტის (სარეგისტრაციო ზონა 45) ნოჯიხევის (სარეგისტრაციო სექტორი 07) ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე 21017, 21045, 21049, 21051, 21054, 22012, 22015, 23007, 23040, 23041, 23048, 25011, 25027, 26027, 26028 სარეგისტრაციო ბლოკებში;

1.10. ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის (სარეგისტრაციო ზონა 65) სათხასა (სარეგისტრაციო სექტორი 08) და ჯიგრაშენის (სარეგისტრაციო სექტორი 09) ადმინისტრაციულ ერთეულებში მდებარე 650833010, 650838034, 650842014, 650842016, 650843023, 650931028, 650933030, 650933032, 650933033, 650935032 სარეგისტრაციო ბლოკებში არსებული მიწის ნაკვეთების, საკადასტრო აგეგმვითი/აზომვითი სამუშაოებისა და სარეგისტრაციო დოკუმენტაციის მომზადების საფუძველზე შედგენილი საკადასტრო რუკები, მესაკუთრეთა/საკუთრების უფლების რეგისტრაციის მოთხოვნის უფლების მქონე პირთა, მოსარგებლეთა მონაცემების და აგეგმილი ნაკვეთის რეგისტრაციისთვის სავარაუდო ინფორმაციის/გარემოებების მითითებით, საჯარო რეესტრის ოფიციალურ ვებგვერდზე (www.napr.gov.ge), slr.napr.gov.ge - ვებგვერდზე, ყველა ზემოაღნიშნული მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე, ყველა ზემოაღნიშნული მუნიციპალიტეტის მერიის შენობაში და ყველა ზემოაღნიშნული ადმინისტრაციული ერთეულის მერის წარმომადგენლის ადმინისტრაციულ შენობაში ყველასათვის ხელმისაწვდომ, თვალსაჩინო ადგილზე;

2. საჯარო რეესტრის ადმინისტრაციული დეპარტამენტის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს ეთხოვოს უზრუნველყოს წინამდებარე გადაწყვეტილების საჯარო რეესტრის ოფიციალურ ვებგვერდზე გამოცხადება;

3. საჯარო რეესტრის ადმინისტრაციული დეპარტამენტის ორგანიზაციული უზრუნველყოფის სამსახურს ეთხოვოს უზრუნველყოს წინამდებარე გადაწყვეტილების საჯაროდ გამოცხადება, სარეზოლუციო ნაწილის პირველ პუნქტში ჩამოთვლილ მუნიციპალიტეტებსა და ადმინისტრაციულ ერთეულებში მდებარე იუსტიციის სახლებში, ყველასთვის ხელმისაწვდომ ადგილზე და საჯაროდ გამოცხადების შესახებ ინფორმაციის წერილობითი ფორმით წარმოდგენა;

4. წინამდებარე გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის პირველ პუნქტში ჩამოთვლილი მუნიციპალიტეტის მერიებს ეთხოვოთ უზრუნველყონ აღნიშნული ინფორმაციის განთავსება საკუთარ ვებგვერდებზე, თავიანთ შენობებში და ყველა ზემოაღნიშნული ადმინისტრაციული ერთეულის მერის წარმომადგენლის ადმინისტრაციულ შენობაში;

5. გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

ქონების რეგისტრაციის დეპარტამენტის
უფროსი

ხელმოწერილია/
მტამპდასმულია
ელექტრონულად

ლაშა ექიზაშვილი